ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს
წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი

N(N)LE Saint Andrew the First-Called Georgian University of the Patriarchate of Georgia

№ _____ 23.02.-- 2022 წ.

ა(ა)იპ „საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის“ რექტორის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №12-ე

ა(ა)იპ „საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის“ რექტორის 2022 წლის 26 იანვრის № 5-კ ბრძანებაში „აკადემიურ თანამდებობებზე ღია კონკურსის გამოცხადების თაობაზე“ ცვლილებების შეტანის შესახებ

ა(ა)იპ "საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის" მართვის დებულების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შევიდეს ცვლილება რექტორის 2022 წლის 26 იანვრის №5-კ ბრძანებაში „აკადემიურ თანამდებობებზე ღია კონკურსის გამოცხადების თაობაზე“:

ა) ბრძანებისმე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„4. კონკურსში მონაწილეთა მიერ დოკუმენტაციის წარმოდგენის და მათი რეგისტრაციის ვადა განისაზღვროს 2022 წლის 1-ლი მარტიდან 21 მარტის ჩათვლით შაბათ-კვირისა და შრომის კოდექსით გათვალისწინებული უქმე დღეების გარდა, მისამართზე ქ. თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი #53ა, საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის სამსახურში, პირველი კორპუსი (ოთახი N104), 11.00 საათიდან – 17.00 საათამდე.“

ბ) ბრძანების მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„ 5. კონკურსი ჩატარდეს (კონკურსანტთა შეფასება და გადაწყვეტილების მიღება) 2022 წლის 22 მარტიდან არაუგვიანეს 15 აპრილისა.

გ) ბრძანების მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„6. კონკურსის შედეგები გამოქვეყნდეს საკონკურსო კომისიის მიერ გადაწყვეტიების მიღებიდან არაუგვიანეს მეორე სამუშაო დღეს.“

2. წინამდებარე ბრძანების განთავსება ქართული უნივერსიტეტის" ოფიციალურ ვებგვერდზე www.sangu.edu.ge დაევალოს საზოგადოებასთან და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურს.
3. ბრძანების გაცნობა დაინტერესებულ პირთათვის დაევალოს საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერიდან.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64).

უნივერსიტეტის რექტორი **ირაკლი ბრაჭული**